



# რბილი რულონური გადახურვის სპეციალისტი

---

პროფესიულსტანდარტი

სსიპ –განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

2018 წელი

1. დასახელება (ქართულად): რბილი რულონული გადახურვის სპეციალისტი

2. დასახელება (ინგლისურად): Soft Rolls Roofing Specialist

3. პროფესიული სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი:

4. პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კოდი „დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის“ (ISCO-08) მიხედვით - 3213

5. დასაქმების სფეროს აღწერა:

რბილი რულონული გადახურვის სპეციალისტის პროფესია გულისხმობს სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენებით შენობის რბილ გადახურვას რულონური მასალებით, როგორც მექანიკური ხელსაწყოებით, ასევე შესაბამისი მანქანა-მექანიზმების მეშვეობით.

რბილი რულონული გადახურვის სპეციალისტი ასრულებს სხვადასხვა ტიპის საცხოვრებელი და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებისა და სამრეწველო ნაგებობების სახურავებზე გადახურვის სამუშაოს; აწარმოებს რულონური გადახურვის სარემონტო-აღდგენით სამუშაოს; უზრუნველყოფს შენობების სახურავების წყალგაუმტარობას მოცემული მეთოდით. ამ ტიპის სპეციალისტს მოაწყოს რულონური საფარი ბრტყელ ან 2 დან 15 გრადუსიანი დახრის სახურავზე.

6. სამუშაო გარემო და დასაქმების შესაძლებლობები:

რბილი რულონული გადახურვის სპეციალისტი მუშაობს ბუნებრივ გარემო პირობებში, ღია ცის ქვეშ, სიმაღლეზე, ზოგჯერ შესაძლებელია მოუწიოს მუშაობა რთულ კლიმატურ პირობებშიც. რბილი რულონული გადახურვის სპეციალისტი შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის მრავალპროფილიან და მონოპროფილიან სამშენებლო - სარემონტო კომპანიებში, სამშენებლო მასალების, კერძოდ, რბილი რულონური გადახურვის მასალების მწარმოებელ კომპანიებში, ასევე სამშენებლო მასალების შემომტან ორგანიზაციებზე შესაბამის სფეროში კონსულტანტის პოზიციაზე.

7. აუცილებელი პროფესიული მოთხოვნები:

- მინიმალური ასაკი: 16 წელი

8. პროფესიული მოვალეობები და ამოცანები:

№	პროფესიული მოვალეობა	პროფესიული ამოცანა
1	სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება	1. 1. აფასებს სამუშაო გარემოს; 1. 2. შეისწავლის შესასრულებელი სამუშაოების პროექტს; 1. 3. შეისწავლის სამუშაო ზედაპირს; 1.4. განსაზღვრავს სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მასალებს; 1.5. მობილიზებას უკეთებს საჭირო ხელსაწყოებსა და მექანიზმებს ხელსაწყოებსა და დაზგა - დანადგარებს; 1. 6. შეიმუშავებს სამუშაო გეგმა გრაფიკს;
2	ზედაპირის მომზადება რულონის დასაგებად	2.1. ამუშავებს სამუშაო ზედაპირს; 2.2. ასუფთავებს სამუშაო ზედაპირს; 2.3. ამონტაჟებს წყალარინების ელემენტებს (ფასონურ დეტალებს);

		<p>2.4. დაიტანს გრუნტს დასამუშავებელ ზედაპირზე;</p> <p>2.5. ამოწმებს სამუშაოს შესრულების ხარისხს;</p> <p>2.6. აღმოფხვრის ხარვეზებს;</p>
3	ბიტუმოვანი რულონის დაგება	<p>3.1.ადგენს ესკიზურ ნახაზს რულონების განლაგებასა და რიგითობაზე;</p> <p>3.2. დაიტანს არსებული ესკიზების მიხედვით ნიშნულებს სამუშაო ზედაპირზე;</p> <p>3.3. აგებს პირველ ზოლს;</p> <p>3.4. აგებს რულონის დანარჩენ ზოლებს;</p> <p>3.5. ამოწმებს სამუშაოს შესრულების ხარისხს;</p> <p>3.6. აღმოფხვრის ხარვეზებს</p> <p>3.7. დაიტანს სამუშაოს დასრულების შემდეგ ბიტუმ პასტას</p>
4	სარემონტო სამუშაოების შესრულება	<p>4.1 ადგენს შესაკეთებელი სახურავის დაზიანების ხარისხს (მოცულობა, ხარისხი);</p> <p>4.2. შეიმუშავებს ხარვეზების აღმოფხვრის მეთოდს;</p> <p>4.3. ამზადებს სარემონტო ზედაპირს;</p> <p>4.4.ამზადებს შესაკეთებლად საჭირო მასალას;</p> <p>4.5.ამზადებს.შესაკეთებლად.საჭირო.მასალას;</p> <p>4.6 .ამოწმებს შესრულებულ სარემონტო-სამუშაოს.</p>
5	დამკვეთთან ურთიერთობა	<p>5.1. განსაზღვრავს დამკვეთის მოთხოვნებს;</p> <p>5.2.ათანხმებს მომსახურების პირობებს;</p> <p>5.3.წარუდგენს დამკვეთს სავარაუდო ხარჯთღირებვას;</p> <p>5.4.ათანხმებს დამკვეთთან სამუშაო გეგმა-გრაფიკს;</p> <p>5.5.აფორმებს ხელშეკრულებას;</p> <p>5.6.აფორმებს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს სამუშაოს დასრულების შემდეგ</p>
6	საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	<p>6.1.აღმოუჩენს/უზრუნველყოფს პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას/ დახმარებას.</p> <p>6.2.იცავს (პირად და სამუშაო ადგილის) სანიტარულ-ჰიგიენური ნორმებს;</p> <p>6.3. იცავს შრომითი უსაფრთხოების ნორმებს;</p> <p>6.4. იცავს გარემოს დაცვით ნორმებს;</p> <p>6.5.იცავს პროფესიულ ეთიკას.</p>
7	პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	<p>7.1.ეცნობა ინფორმაციას თანამედროვე ტენდენციებზე;</p> <p>7.2. მონაწილეობს პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებში</p> <p>7.3. ესწრება პროფესიულ-თემატურ გამოფენებს</p> <p>7.4.აახლებს სამუშაოს შესასრულებლად მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას</p> <p>7.5. ეუფლება თანამედროვე ტექნოლოგიებს</p> <p>7.6. ზრდის თავისი სპეციალიზაციის არეალს</p>

### **9. პიროვნული თვისებები:**

- პასუხისმგებლობა
- ყურადღებობა
- კონცენტრირებულობა
- კეთილსინდისიერება

### **10. მატერიალური რესურსი:**

#### **ა) ინვენტარი, აღჭურვილობა:**

- სიგრძის საზომი ხელსაწყო,
- საზომი რულეტი;
- ლაზერული საზომი;
- ჩაქუჩი (სპეციალური);
- დანა;
- სადგისი;
- ავზაკი;
- ლითონის ფითხი;
- რეზინიანი სახვეტი;
- აქანდაზი;
- ვედრო;
- ჯაგრისები;
- ნაჯახი;
- გადამმების სატკეპნი;
- სახრაზნისის კომპლექტი;
- ლილვაკი;
- გორგოლაჭიანი მაკრატელი მასალების დასაჭრელად
- ქურო;
- პერფორატორი;
- ბიტუმსახარში ქვაბი;
- გაზის ბალონი;
- გადამტანი ურიკა;
- ცეცხლმაჭრი,
- გაზის ბალონის გამაცხელებელი ხელსაწყო;
- გაზის სპეციალური მილი;
- ელექტროსახრაზნისი საცვლელი ბურღებით;
- ბიტუმ-პასტის დასატანი მოწყობილობა.

#### **ბ) მასალა, ნედლეული:**

- სხვადასხვა ტიპის რულონური მასალები გადახურვისთვის;
- გრუნტი (პრაიმერი);
- სჭვალი (შურიპი);
- დუბელ-ლურსმანი;
- ჰერმეტიული პასტა
- ფანქარი;
- ფურცელი;
- ეკიპირება (სპეცტანსაცმელი);
- სპეციალური ქამარი დამცავი ბაგირით;
- ხელთათმანები.

**11. პროფესიის სამომავლო ტენდენციები:**

- ნაწილ ტექნოლოგიებით რბილი გადახურვების მოწყობა;
- ორთქლსაიზოლაციო ფენების მოწყობა სხვადასხვა ახალი ტიპის ჰიდროსაიზოლაციო მასალებით:
  - ბიკროსტით, (ეკონომიკურად ფართოდ გავრცელებული ჰიდროსაიზოლაციო მასალა OXY მოდიფიცირებული მემბრანა)
  - ლინოკრომით, (სპეციალური წესით დამუშავებული მოდიფიცირებული ჰიდროსაიზოლაციო მასალა, ბიტუმისა და არმირებული მინაქსოვილისგან OXY მოდიფიცირებული მემბრანა)

**12. პროფესიული ცოდნა და უნარები:**

№	მოვალეობა	პროფესიული ცოდნა	პროფესიული უნარები
1.	<p><b>სამუშაო პროცესის/ადგილის ორგანიზება:</b></p>	<p><b>იცის:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• განსხვავებულ კლიმატურ პირობებში მუშაობის წესები;</li> <li>• სამუშაო ადგილის სწორად ორგანიზების წესები;</li> <li>• უსაფრთხოების წესები;</li> <li>• პირობითი აღნიშვნების მნიშვნელობა სამშენებლო ნახაზზე</li> <li>• მისი კომპეტენციის ფარგლებში;</li> <li>• შესასრულებელი სამუშაოების გამოთვლის პრინციპები;</li> <li>• სამუშაოზე დაპირის შესაძლო დაზიანების ტიპები;</li> <li>• ზედაპირზე ხარვეზების აღმოსაფხვრელად სამუშაოების ჩატარების მეთოდები;</li> <li>• ჩასატარებელი სამუშაოების თანმიმდევრობა;</li> <li>• სახურავის მოსაწყობად საჭირო მასალის ტექნიკური მახასიათებლები;</li> <li>• მასალის რაოდენობის გამოთვლის მეთოდი;</li> <li>• მასალის დანიშნულება.</li> <li>• ხელსაწყოებისა და მექანიზმების თვისობრივი და ტექნიკური მახასიათებლები;</li> <li>• ხელსაწყოებისა და მექანიზმების დანიშნულება;</li> </ul>	<p><b>შეუძლია:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• კლიმატური პირობების შესაბამისად დაგეგმოს სამუშაო;</li> <li>• სამუშაო ადგილის სწორად ორგანიზება;</li> <li>• შრომის უსაფრთხოების დაცვა;</li> <li>• აზომვითი სამუშაოების განხორციელება.</li> <li>• სამუშაოს მოცულობის გამოთვლა</li> <li>• სამშენებლო ნახაზის წაკითხვა თავისი კომპეტენციის ფარგლებში;</li> <li>• სამუშაოს მოცულობის გამოთვლა პროექტის მიხედვით;</li> <li>• პროექტის წაკითხვა</li> <li>• აღმოაჩინოს დაზიანებები სამუშაოზე დაპირზე;</li> <li>• ჩატაროს შესაბამისი სამუშაოები ხარვეზების აღმოსაფხვრელად;</li> <li>• ზედაპირის მომზადება ბიტუმოვან-რულონური გადახურვისა</li> <li>• თვის.</li> <li>• საჭირო მასალის რაოდენობის გამოთვლა;</li> <li>• საჭირო მასალის შერჩევა;</li> <li>• მასალის გამოყენება დანიშნულების შესაბამისად.</li> <li>• ხელსაწყოებისა და მექანიზმების შერჩევა შესასრულებელი სამუშაოების მიხედვით;</li> <li>• ხელსაწყოებისა და მექანიზმების გამოყენება დანიშნულების მიხედვით</li> <li>• ხელსაწყოებისა და მექანიზმების გამართვა, მოვლა და მომზადება სამუშაოდ;</li> <li>• გეგმა-გრაფიკის დამოუკიდებლად</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>• მექანიზმების ექსპლუატაციის წესები;</li> <li>• სამუშაოების სწორი თანმიმდევრობა;</li> </ul>	<p>შედგენა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ეტაპობრივად სამუშაოების დაყოფა და შესაბამისი ვადების განსაზღვრა;</li> <li>• გრაფიკის მიხედვით სამუშაოების შესრულება.</li> <li>• სამუშაოების დაგეგმვა;</li> </ul>
2.	<p><b>ზედაპირის მომზადება რულონების დასაგებად</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამუშაო ზედაპირის გასწორებისა და დამუშავების მეთოდები;</li> <li>• სამუშაოს შესასრულებლად საჭირო იარაღების დანიშნულება;</li> <li>• სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალების სპეციფიკა.</li> <li>• დასასუფთავებელი ზედაპირის მოცულობის გამოთვლა</li> <li>• დასუფთავებისთვის საჭირო დამხმარე საშუალებების დანიშნულება</li> <li>• დასუფთავების სამუშაოების თანმიმდევრობა</li> <li>• ფასონური დეტალების დანიშნულება;</li> <li>• ფასონური დეტალების დამონტაჟების მეთოდი;</li> <li>• ფასონური დეტალების დამონტაჟების ტექნოლოგია</li> <li>• გრუნტის სახეობები და მათი დანიშნულება;</li> <li>• გრუნტის ზედაპირზე დატანის ტექნიკა.</li> <li>• ფასონური დეტალების მდგრადობისა და ჰერმეტიკულობის შემოწმების მეთოდი;</li> <li>• დაგრუნტული ადგილების ხარვეზების შემოწმება;</li> <li>• ფასონური დეტალების ხარვეზების აღმოფხვრის მეთოდოლოგია</li> <li>• ხარვეზების აღმოჩენის მეთოდოლოგია (ვიზუალური, ტექნიკური);</li> <li>• დაგრუნტული ზედაპირის ხარვეზების აღმოფხვრის მეთოდოლოგია</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დამოუკიდებლად ზედაპირის დამუშავება და გასწორება;</li> <li>• საჭირო ხელსაწყოებისა და მასალების გამოყენება.</li> <li>• დასასუფთავებელი ზედაპირის მოცულობის განსაზღვრა</li> <li>• დასუფთავებისთვის გამოსაყენებელი დამხმარე საშუალებების მიზნობრივად გამოყენება;</li> <li>• წყალარინების ელემენტების დასამონტაჟებელი ადგილების ზუსტად განსაზღვრა;</li> <li>• ფასონური დეტალების დამონტაჟება;</li> <li>• ფასონური დეტალების დამაგრება;</li> <li>• გრუნტის შერჩევა;</li> <li>• გრუნტის დატანა ზედაპირზე;</li> <li>• გრუნტის ხარჯვის გაკონტროლება;</li> <li>• ხარვეზების განსაზღვრა ვიზუალური დათვალიერებით;</li> <li>• ფასონური დეტალების დამაგრების მდგრადობისა და ჰერმეტიკულობის შემოწმება;</li> <li>• ფასონური დეტალების ხარვეზების აღმოფხვრა;</li> <li>• ხარვეზების აღმოჩენა დაგრუნტულ ზედაპირზე;</li> <li>• აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრა</li> <li>• რულონური მასალების დაწებება ცივი მასტიკით,</li> <li>• თვითწებადი რულონური მასალებით სახურავის მოწყობა.</li> </ul>

		<ul style="list-style-type: none"> <li>• რბილი რულონური მასალების დაგების ცივი და ცხელი მეთოდი</li> <li>• თვითწებადი რულონური მასალის გამოყენების მეთოდი.</li> </ul>	
3.	ბიტუმოვანი რულონის დაგება	<ul style="list-style-type: none"> <li>• ხაზვა;</li> <li>• ესკიზური ნახაზის ელემენტები;</li> <li>• ესკიზური ნახაზის შედგენის წესი;</li> <li>• მონიშვნის წესები;</li> <li>• მოსანიშნი ხელსაწყოების დანიშნულება;</li> <li>• პირველი ზოლის მიმართულების განსაზღვრის ზოგადი წესები;</li> <li>• პირველი ზოლის წყალგადამყვანებთან შეერთების წესები;</li> <li>• ბიტუმოვანი რულონის დაწებებისთვის გამოყენებული ე.წ. გახურების მეთოდი;</li> <li>• ბიტუმოვან-რულონური მასალის დაწებებისთვის საჭირო ოპტიმალური ტემპერატურის კონტროლის მეთოდი;</li> <li>• ბიტუმოვანი რულონების დაწებების ხარისხის შემოწმების მეთოდი;</li> <li>• ბიტუმოვანი რულონების ზოლების გადაბმის ადგილების ჰერმეტიკულობის შემოწმების მეთოდი;</li> <li>• ხარვეზების აღმოფხვრის მეთოდოლოგია(გახურებით დაწება, ბიტუმოვანი პასტით დაწება და ღრეჩობის ამოვსება, დახრახნისება და ა.შ);</li> <li>• ბიტუმ პასტის სახეობები;</li> <li>• ბიტუმ პასტის დატანის ადგილები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ესკიზური ნახაზის შედგენა ყველა ელემენტის დატანით;</li> <li>• ესკიზური ნახაზში სახურავის დახრის კუთხეების გათვალისწინება</li> <li>• შეუძლია:</li> <li>• მონიშვნის წესების გათვალისწინებით სრულყოფილად გადაიტანოს ნიშნულები ნახაზიდან სამუშაო ზედაპირზე;</li> <li>• მოსანიშნი საშუალებების (ლაზერი, სახაზავი, ძაფი, ცარცი და ა.შ) გამოყენება.</li> <li>• შეუძლია:</li> <li>• სწორად განსაზღვროს პირველი ზოლის მიმართულება;</li> <li>• ვიზუალურად აკონტროლოს ბიტუმოვანი რულონის დასაწებებლად საჭირო გახურების ტემპერატურა;</li> <li>• გახურების მეთოდით და ესკიზურ ნახაზზე დაყრდნობით სწორად დააგოს ბიტუმოვან-რულონური მასალა სამუშაო ზედაპირზე;</li> <li>• ხარვეზების განსაზღვრა ვიზუალური დათვალიერებით;</li> <li>• ბიტუმოვან რულონური მასალის დაწებების ჰერმეტიკულობის შემოწმება;</li> <li>• ხარვეზების აღმოფხვრა ხარვეზის შესაბამისი მეთოდის გამოყენებით.</li> <li>• ბიტუმოვანი პასტის წასმის ადგილების სწორად განსაზღვრა.</li> <li>• ბიტუმ პასტის შერჩევა სამუშაო ზედაპირის მიხედვით;</li> <li>• ბიტუმ პასტის მიზნობრივად დატანა სამუშაო ზედაპირის შესაბამის ადგილებზე.</li> </ul>
4.	სარემონტო სამუშაოების შესრულება	<ul style="list-style-type: none"> <li>• სახურავის დაზიანების შეფასების კრიტერიუმები;</li> <li>• დაზიანებული ადგილების აღსადგენად გამოყენებადი</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაზიანების მოცულობის განსაზღვრა;</li> <li>• დაზიანების სირთულის განსაზღვრა;</li> </ul>



		<p>მასალების სპეციფიკა;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დათვლა;</li> <li>• სხვადასხვა დაზიანებების შესაბამისი აღმოფხვრის მეთოდები;</li> <li>• სხვადასხვა დაზიანებების შესაბამისი აღმოფხვრისათვის საჭირო მასალების დანიშნულება;</li> <li>• სხვადასხვა დაზიანებების შესაბამისი აღმოფხვრისათვის საჭირო ინსტრუმენტების დანიშნულება;</li> <li>• სამუშაოს ზედაპირის დამუშავების წესი;</li> <li>• სამუშაო ზედაპირის მომზადებისათვის საჭირო ინსტრუმენტების დანიშნულება;</li> <li>• ამოცანის შესასრულებლად გამოსაყენებელი მასალის თვისებები;</li> <li>• ამოცანის შესასრულებლად გამოსაყენებელი მასალის მომზადების წესი;</li> <li>• ამოცანის შესასრულებლად გამოსაყენებელი ხელსაწყოების და ინსტრუმენტების დანიშნულება;</li> <li>• ამოცანის შესასრულებლად ხელსაწყოების და ინსტრუმენტების გამოყენების წესი;</li> <li>• სხვადასხვა დაზიანებების სპეციფიკის შესაბამისი აღმოფხვრის მეთოდები;</li> <li>• სხვადასხვა დაზიანებების შესაბამისი აღმოფხვრისათვის საჭირო მასალების დანიშნულება;</li> <li>• სხვადასხვა დაზიანებების შესაბამისი აღმოფხვრისათვის საჭირო ინსტრუმენტების დანიშნულება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დაზიანებული ადგილების აღსადგენად საჭირო მასალების სახეებისა და რაოდენობის განსაზღვრა;</li> <li>• ხარვეზების აღმოფხვრის ოპტიმალური მეთოდის შერჩევა;</li> <li>• სხვადასხვა დაზიანებების შესაბამისი აღმოფხვრისათვის საჭირო მასალების შერჩევა;</li> <li>• სხვადასხვა დაზიანებების შესაბამისი აღმოფხვრისათვის საჭირო ინსტრუმენტების შერჩევა;</li> <li>• სამუშაოს ზედაპირის დამუშავება და მომზადება;</li> <li>• სამუშაო ზედაპირის მომზადებისათვის საჭირო ინსტრუმენტების გამოყენება;</li> <li>• დაზიანების სპეციფიკის შესაბამისად ხარვეზის აღმოსაფხვრელად მასალების შერჩევა;</li> <li>• დაზიანების სპეციფიკის შესაბამისად ხარვეზის აღმოსაფხვრელად მასალების მომზადება;</li> <li>• ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების მიზნობრივად შერჩევა;</li> <li>• ხელსაწყოებისა და ინსტრუმენტების დანიშნულებისამებრ გამოყენება;</li> <li>• აწარმოოს ბიტუმოვან-რულონური გადახურვის სარემონტო სამუშაოები.</li> </ul>
5.	დამკვეთთან ურთიერთობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სამუშაოს სპეციფიკა;</li> <li>• დამკვეთის მოთხოვნის ყურადღებით მოსმენა;</li> <li>• სამუშაოს შესრულების</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• დამკვეთის მოთხოვნების განსაზღვრა;</li> <li>• ეფექტური კომუნიკაციის განხორციელება დამკვეთთან;</li> </ul>



		<ul style="list-style-type: none"> <li>ტექნოლოგია;</li> <li>სამუშაოს თავისებურებები;</li> <li>სამუშაოს შესასრულებლად საჭირო მასალების სპეციფიკა;</li> <li>სამუშაოს თითოეული ეტაპისთვის საჭირო ვადა;</li> <li>შრომის უსაფრთხოების ნორმები</li> <li>რბილი რულონური არჯთადრიცხვის ძირითადი ელემენტები;</li> <li>ექსელის პროგრამა;</li> <li>ტექნოლოგიური პროცესის თანმიმდევრობა;</li> <li>თითოეული ტექნოლოგიური ციკლისთვის საჭირო დრო;</li> <li>სამუშაო არეალის კლიმატურ-გეოგრაფიული თავისებურებები;</li> <li>შენობის სპეციფიკა;</li> <li>დამკვეთსა და შემსრულებელს შორის უფლებამოვალეობების გადანაწილება</li> <li>წილების ძირითადი პრინციპები;</li> <li>ხელშეკრულების შემადგენელი ძირითადი პუნქტების შინაარსი;</li> <li>მიღება-ჩაბარების აქტის მნიშვნელობა;</li> <li>მიღება - ჩაბარების აქტის ძირითადი პუნქტები</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>დამკვეთისთვის შესასრულებელი სამუშაოს სირთულის დასაბუთება;</li> <li>სამუშაო ზედაპირის შეფასება;</li> <li>სამუშაო ზედაპირის თავისებურებების შესატყვისი მასალების შერჩევა;</li> <li>სამუშაოს შესრულების სავარაუდო ვადის განსაზღვრა;</li> <li>უსაფრთხო სამუშაო გარემოს მოწყობა;</li> <li>რბილი რულონური გადახურვის მოწყობის ელემენტარული ხარჯთადრიცხვის შედგენა;</li> <li>ხარჯთადრიცხვის ექსელის ფორმატში გაკეთება;</li> <li>სამუშაო გეგმა-გრაფიკის შედგენა;</li> <li>სამუშაოს შესასრულებლად დროის ოპტიმალურად განაწილება;</li> <li>მომსახურების ხელშეკრულების გაანალიზება;</li> <li>მომსახურების ხელშეკრულებით გაფორმება;</li> <li>მარტივი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.</li> </ul>
6.	<p>საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>არტაშანის დადება;</li> <li>სამედიცინო კომპლექტის შემადგენლობა;</li> <li>ლახტის დადება;</li> <li>ორგანიზაციის უსაფრთხოების ინსტრუქციები;</li> <li>სპეცტანსაცმელის დანიშნულება;</li> <li>ხელსაწყოების და მექანიკური მანქანა-დანადგარების ექსპლუატაციის წესები;</li> <li>სამუშაოს უსაფრთხოდ წარმოების ნორმები;</li> <li>საჭირო მანქანა-მექანიზმების გამოყენების</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>პირველადი დახმარების კომპლექტის გამოყენება;</li> <li>პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა მოტეხილობის დროს;</li> <li>პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა დაჟეჟილობის დროს;</li> <li>პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა სისხლდენის დროს;</li> <li>პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა დამწვრობის დროს</li> <li>პირადი ჰიგიენის დაცვა;</li> <li>სამუშაო ადგილის ჰიგიენის ნორმების დაცვა;</li> </ul>

		<p>შესახებ მწარმოებლის ინსტრუქციები;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უბედურების შემთხვევების შეტყობინებისა და ავარიული სიტუაციების დროს შესასრულებელი პროცედურები;</li> <li>• გარემოს დაცვით ნორმებს;</li> <li>• პროფესიული ეთიკის ნორმები.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• შუძლია საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში აღმოფხვრას შენიშნული ხარვეზები;</li> <li>• საქმიანობა აწარმოოს გარემოს დაცვით;</li> <li>• არ დააბინძუროს გარემო ნარჩენებით და ქიმიური ხსნარებით;</li> <li>• დაიცვას მწვანე ნარგავები დაზიანებისგან თავისი კომპეტენციის ფარგლებში;</li> <li>• პასუხისმგებლობის აღება საკუთარ საქმიანობაზე;</li> <li>• ურთიერთობისას ეთიკის ნორმების დაცვა</li> <li>•</li> </ul>
7.	<p><b>პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კომპიუტერული პროგრამები;</li> <li>• ახალი ინფორმაციის მოძიების ტექნოლოგიები;</li> <li>• ინფორმაციის დამუშავება;</li> <li>• მუდმივი პროფესიული განვითარების მნიშვნელობა;</li> <li>• სიახლეების პრაქტიკაში დანერგვის აუცილებლობა;</li> <li>• პროფესიულ-თემატურ გამოფენებში მონაწილეობის მიღებისა და დასწრების მნიშვნელობა;</li> <li>• პროფესიულ-თემატური გამოფენების ჩატარების ადგილები და პერიოდულობა;</li> <li>• თანამედროვე ტენდენციების მიხედვით საკუთარი საქმიანობის მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლების მნიშვნელობა პროფესიული განვითარებისათვის;</li> <li>• სამუშაოს შესრულების თანამედროვე ტექნოლოგიების მნიშვნელობა პროფესიული განვითარებისთვის</li> <li>• სამუშაოს შესრულებაში სერვისის გაუმჯობესების მნიშვნელობა;</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ისარგებლოს/გამოიყენოს/ თანამედროვე საინფორმაციო საშუალებებით ინფორმაციის მოსაძიებლად;</li> <li>• ინფორმაციის მოძიება - დამუშავება,</li> <li>• ეფექტური კომუნიკაცია;</li> <li>• ტრენინგებსა და</li> <li>• პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მიღებული ინფორმაციის გაანალიზება;</li> <li>• ტრენინგებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მიღებული გამოცდილების დანერგვა პრაქტიკაში</li> <li>• დაესწროს ან მონაწილეობა მიიღოს პროფესიულ-თემატურ გამოფენებში;</li> <li>• გაანალიზოს პროფესიულ-თემატურ გამოფენებზე მიღებული ინფორმაცია;</li> <li>• პრაქტიკაში გამოიყენოს პროფესიულ-თემატურ გამოფენებზე მიღებული ინფორმაცია;</li> <li>• განსაზღვროს მოცემული მომენტისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შეძენის აუცილებლობა;</li> <li>• შესაძლებლობების შესაბამისად დაგეგმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;</li> <li>• დაეუფლოს თანამედროვე ტექნოლოგიებს;</li> <li>• თანამედროვე ტექნოლოგიების პრაქტიკაში გამოიყენება;</li> </ul>

- შეუძლია, ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად, სპეციალიზაციის არეალის გაზრდა.

**13. პროფესიული სტანდარტის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრები:**

№	სახელიდაგვარი	ორგანიზაცია, პოზიცია
1	რობერტი გელაშვილი	თვითდასაქმებული სამუშაოთა მწარმოებელი
2	რამაზ ღვინეფაძე	შპს „მოდერნრუფინგი“ დამფუძნებელი
3	ვლადიმერ ბაციკაძე	შპს „ბიემსი გორგია“ ვაიზერი
4	დარეჯან გიგაური	სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, არქიტექტორი
5	ზვიად ქოიავა	სამშენებლო კომპანია შპს „მეგა სერვის ცენტრი“
6	ირაკლი ჩანთაძე	ინდემწარმე, გადახურვის სპეციალისტი
7	თამაზ თურქიაშვილი	სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, სამშენებლო სამსახურის მენეჯერი
8	დავით ზაქარეიშვილი	შპს „გარანტი“ მთავარი ინჟინერი
9	გიორგი ბაჟუნაშვილი	შპს „სამება“ დირექტორი
10	ომარი კაპანაძე	ინდ მწარმე, რბილი გადახურვის სპეციალისტი
11	გიორგი ჟორჟოლიანი	შპს „ჯი არ სი“ მარკეტინგის მენეჯერი
12	თემურ თაქთაქიძე	შპს „ჯი არ სი“ ბრენდ მენეჯერი, გაყიდვების მენეჯერი
13	ლილი ხალვაში	სამშენებლო კომპანია შპს „მეგასერვის ცენტრი“ ადამიანური რესურსების მენეჯერი

**დასახელება:** რბილი რულონული გადახურვის სპეციალისტი

**შეფასების სტანდარტი**

**ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია**

შეფასების სტანდარტი გამოიყენება ფორმალური განათლების ან/და არაფორმალური განათლების ფარგლებში შეძენილი კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების აღიარების მიზნით.

შეფასების სტანდარტი განსაზღვრავს პროფესიულ სტანდარტში ასახული კომპეტენციების, ცოდნისა და უნარების შეფასების ან/და დადასტურების აუცილებელ პირობებს:

1. შესაფასებელ კომპეტენციებს, რომლებიც გამოხატულია პროფესიული მოვალეობებსა და ამოცანებში;
2. შესაფასებელი კომპეტენციების შეფასების კრიტერიუმებს, რომლებიც ასახავს აუცილებელ პროფესიულ ცოდნასა და უნარებს;
3. შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების შესაძლებლობებს;

#### 4. გამოცდის პროცესს და კომპონენტებს.

##### **შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება**

შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურების გზები:

- ა) ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა);
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული კომპეტენციების დადასტურება (ნამდვილობის დადასტურება) განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
- გ) მიღწეული კომპეტენციების დადასტურება ამ დოკუმენტით დადგენილი პრინციპებით ჩატარებული გამოცდის გზით.

ფორმალურ განათლებაში სტანდარტით გათვალისწინებული შეფასების პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასახულია სავალდებულო პროფესიულ მოდულებში.

##### **ფორმალურ განათლებაში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი**

ფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (ჩათვლის) პროცესი მოიცავს მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებას (ჩათვლას) საძიებელი კვალიფიკაციის მიზნებისათვის ქვემოთ მოცემული პრინციპების შესაბამისად:

ა) დასაშვებია მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება (ჩათვლა) ნებისმიერი კვალიფიკაციის ფარგლებში, თუ სწავლის შედეგები თავსებადია საძიებელ კვალიფიკაციასთან და მათი მიღწევა დადასტურებულია, რაც გამოიხატება საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული დადებითი შეფასებით და შესაბამისი კრედიტის მინიჭებით.

ბ) თავსებადობის დადგენისთვის, შინაარსობრივი შესწავლის მიზნით, ამღიარებელი დაწესებულება ეყრდნობა პროფესიულ სტანდარტს ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს, რომლის საფუძველზეც არის შემუშავებული გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ან პროგრამის კომპონენტი, არსებობის შემთხვევაში - პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ან/და სილაბუსებს, ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს. ამღიარებელი დაწესებულება უფლებამოსილია აღიარების მიზნებისათვის შესაფასებელ პირს მოსთხოვოს გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის/სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) გამოთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და წარდგენა.

გ) სწავლის შედეგების თავსებადობის განსაზღვრის მიზნით, აუცილებელი არაა მათი ფორმულირება იყოს იდენტური. თავსებადად ჩაითვლება სწავლის შედეგები, რომლის/რომელთა ერთობლიობაც, შინაარსის თვალსაზრისით, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის გათვალისწინებით, შესაძლოა მიჩნეულ იქნას ანალოგიურად.

##### **ნაწილი 2. მითითებები შესაფასებელი პირის ადა შემფასებლისათვის**

შეფასების დაწყებამდე გაეცანით:

- პროფესიულ სტანდარტს
- შეფასების ინსტრუმენტებს

- დაინტერესებული/შესაფასებელი პირის კომპეტენციების აღიარებასთან დაკავშირებულ შესაძლებლობებს
- შემფასებლის ჩანაწერების ფორმებს
- შეფასების პირობებს
- შეფასების წესებს
- შეფასების კრიტერიუმებს

#### **შეფასების პროცესში:**

- პირადად დააკვირდით დავალებების შესრულების/შეფასების პროცესს
- თითოეული შესაფასებელისათვის აწარმოეთ შეფასების ჩანაწერების ფორმები
- თუ აუცილებელია, შესაფასებელს დაუსვით დამატებითი შეკითხვები დავალებასთან დაკავშირებით
- შეაფასეთ თითოეული კრიტერიუმი

#### **შეფასების დასრულებისას:**

- შესაფასებელს მიეცით განმარტება შეფასებასთან დაკავშირებით
- შეაჯამეთ შეფასების შედეგები
- დაადასტურეთ შეფასების შედეგები ხელმოწერით
- შეფასების ჩანაწერები გადაეცით სათანადოდ უფლებამოსილ პირს

#### **ნაწილი 3. შეფასების პროცედურა**

##### **მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ორგანიზების პროცესი და კომპონენტები**

მიღწეული კომპეტენციების დადასტურებისთვის გამოცდის ჩატარების პროცესი მოიცავს დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად გამოკითხვისა და პრაქტიკული დავალების შესრულების ეტაპებს.

მიუხედავად იმისა, დასტურდება თუ არა კვალიფიკაციით გათვალისწინებული კომპეტენციები, შეფასების სტანდარტის ნაწილი 1-ის „შესაფასებელი კომპეტენციების დადასტურება“ „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებული შესაძლებლობებით, შეფასების პროცესი მოიცავს სავალდებულო კომპონენტს (გამოცდას), რომლის შეფასება შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობას წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემულია გამოკითხვისა და პრაქტიკულ დავალებაზე დაკვირვების პროცესის მოთხოვნები, ასევე შეფასების სავალდებულო კომპონენტები.

#### **ნაწილი 4. თეორიული გამოკითხვის და პრაქტიკული /დავალებების თემატიკა**

##### **გამოკითხვა**

##### **გამოკითხვის ფორმა:**

- შესაფასებელი პირის გამოკითხვა ხორციელდება ტესტის და ზეპირი შეკითხვების სახით;
- ტესტი უნდა მოიცავდეს როგორც ღია, ისე დახურული ტიპის შეკითხვებს.

##### **გამოკითხვის პროცესის მონიტორინგი:**

არსებითაა გამოკითხვის პროცესზე შემფასებლის მიერ ზედამხედველობის განხორციელება;

##### **მოპოვებული მტკიცებულებები**

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შესაფასებლის მიერ მომზადებული წერილობითი ნაშრომით/შესრულებული ტესტით ან/და პრაქტიკული დავალების დროს დამატებით, დამაზუსტებელ შეკითხვებზე პასუხებით.

##### **თეორიული საგამოცდო თემატიკა:**

- დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად საგამოცდო თემატიკა შეიძლება მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:
  - ა) ძირითადი და დამხმარე აღჭურვილობის და მასალა ნედლეულის სახეები;
  - ბ) გადახურვის ტექნოლოგია;
  - გ) მონტაჟის წესებიშრომის;
  - დ) დემონტაჟის წესები;
  - ე) უსაფრთხოების წესები.

სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

#### **ნაწილი 5. პრაქტიკული დავალების/დავალებები შესრულების/შეფასების კრიტერიუმების მითითებებით:**

პრაქტიკული დავალების შესრულებაზე დაკვირვება.

##### **საგამოცდო გარემო:**

შესაფასებელი პირის შეფასება ხორციელდება პრაქტიკული დავალებების სახით.

**საგამოცდო პროცესის მონიტორინგი:**

საგამოცდო პროცესის მონიტორინგს ახორციელებს შემფასებელი/შემფასებლები (ნეიტრალური კომისია) წინასწარი დადგენილი წესისა და პროცედურების დაცვით.

**მოპოვებული მტკიცებულებები:**

მტკიცებულებები უზრუნველყოფილია შემფასებლის მიერ შევსებული ჩანაწერების ფორმით.

**საგამოცდო პრაქტიკული დავალებების ჩამონათვალი:**

**დასადასტურებელი კომპეტენციების შესაბამისად სტუდენტმა უნდა შეასრულოს დავალება:**  
რომლებიც შეიძლება მოიცავდეს შემდეგს:

- ა) ზედაპირის მომზადება;
- ბ) ესკიზური ნახაზის შედგენა;
- გ) ბიტუმოვანი რულონის დაგება;
- დ) სარემონტო სამუშაოების შესრულება.

**გაითვალისწინეთ:**

1. შესაფასებელი პირის მიერ შესრულებული სამუშაოს წარმოებისას ეკონომიური, ხარისხის უზრუნველყოფის, გარემოს დაცვის, სამართლებრივი, უსაფრთხოების წესების დაცვის, ჰიგიენის დაცვის მიდგომების, სამუშაოს შესრულების თანამიმდევრობის შეფასება წარმოადგენს ზემოთჩამოთვლილ დავალებებზე დაკვირვების თანამდევ პროცესს და მასზე დამატებითი დროის გამოყოფა არაა რეკომენდებული;
2. შემფასებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის შემთხვევაში შესაფასებელი პირი პასუხობს მათ და საჭიროებისამებრ მოჰყავს საკუთარი ქმედების/ გადაწყვეტილების შესაბამისი არგუმენტები;
3. სავალდებულო კომპონენტის (გამოცდის) საკითხების შერჩევა ზემოთ მოცემული საკითხებიდან წარმოადგენს შემფასებლის პრეროგატივას.

**ნაწილი 6. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაცია**

**შემფასებლის ჩანაწერების ფორმები**

**შესაფასებელი პირის სახელი, გვარი:**

**შეფასების თარიღი:**

**შეფასების ადგილი:**

**შემფასებლის სახელი, გვარი:**



დადასტურებული ომპეტენცია	მტკიცებულებები		
	ფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	არაფორმალური განათლების აღიარება (დანართი N)	გამოცდა (დანართი N)

შედეგი: დადასტურდა -----/ არ დადასტურდა -----

შემფასებლის კომენტარი:

დადასტურება: